საიდ. N86990/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N74-03/16

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ - „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე, თ. ჯაფარიძე, ს. ებრალიძე, თ. კევლიშვილის მდივნობით განიხილა კომპანიის „ოოო „როსტ-ბრენდ“ (ООО „РОСТ-Бренд“) N74-03/16 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 28 აპრილის N908/03 ბრძანების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც სასაქონლო ნიშანში „ПУРМАРИЛИ САПЕРАВИ საფერავი“ (საიდ. N86990/03) სიტყვიერ აღნიშვნას „ПУРМАРИЛИ“ არ მიენიჭა დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვა და სასაქონლო ნიშნის „ПУРМАРИЛИ САПЕРАВИ საფერავი“ (საიდ. N86990/03)

რეგისტრაცია საქონლის შეზღუდული ჩამონათვალის მიმართ: „საქართველოში წარმოებული წითელი მშრალი ღვინო“ (33-ე კლასი).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 28 აპრილის N908/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებული კომბინირებული სასაქონლო ნიშანი „ПУРМАРИЛИ САПЕРАВИ საფერავი“ (საიდ. N86990/03) შეცდომაში შემყვანია ღვინის გარდა სხვა ალკოჰოლიანი სასმელებისათვის. ნიშანი შეცდომაში შემყვანია მაშინ, როდესაც ის შესაძლებელს ხდის, მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხმარებელს საქონლის თვისების, ხარისხის, გეოგრაფიული წარმოშობის ან საქონლის სხვა მახასიათებლების შესახებ. განცხადებული სასაქონლო ნიშანი შეიცავს სიტყვიერ ელემენტს „САПЕРАВИ საფერავი“. საფერავი ქართული წითელყურძნიანი საღვინე ვაზის ჯიშია, რომელიც გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. განცხადებული ნიშანი, ასევე შეიცავს სიტყვიერ ელემენტებს „КРАСНОЕ СУХОЕ ВИНО“ (წითელი მშრალი ღვინო) და „ПРОИЗВЕДЕНО В ГРУЗИИ“ (წარმოებულია საქართველოში). ზემოაღნიშნული აღნიშვნები შეცდომაში შემყვანია სხვა ალკოჰოლიანი სასმელების მიმართ, გარდა ღვინისა, რომელიც არის წითელი, მშრალი და წარმოებულია საქართველოში. აღნიშნულიდან გამომდინარე, განცხადებული სასაქონლო ნიშნის საქონლის ჩამონათვალი უნდა შეიზღუდოს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „საქართველოში წარმოებული წითელი მშრალი ღვინო“.

ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებული ნიშნის სიტყვიერი ელემენტი „ПУРМАРИЛИ“ (პურ-მარილი) ასოცირდება სუფრასთან, სტუმრისთვის მირთმეულ საჭმელ-სასმელთან, რომლის განუყოფელი ნაწილი, ხშირ შემთხვევაში, ღვინოა. ტერმინს „ПУРМАРИЛИ“ არ აქვს განმასხვავებელუნარიანობა ღვინისთვის, რადგან იგი ასოცირდება სუფრასთან და წარმოადგენს ფართო გამოყენების ტერმინს, რომლის გამოყენება ღვინის ყველა მწარმოებელს შეუძლია. აღნიშნულიდან გამომდინარე, სიტყვიერ ელემენტს „ПУРМАРИЛИ“ არ აქვს უნარი განასხვავოს ერთი საწარმოს საქონელი მეორე საწარმოს საქონლისგან, რაც სასაქონლო ნიშნის ძირითადი ფუნქციაა. აქედან გამომდინარე, აღნიშვნა „ПУРМАРИЛИ“ დაუცველი ნაწილის სახით უნდა იყოს ჩართული ნიშანში და მასზე არ შეიძლება გავრცელდეს მფლობელის განსაკუთრებული უფლება. აღნიშნულის გამო, განცხადებულ კომბინირებულ სასაქონლო ნიშანს „ПУРМАРИЛИ САПЕРАВИ საფერავი“ (საიდ. N86990) „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, ნაწილობრივი უარი ეთქვა რეგისტრაციაზე 33-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის ნაწილის მიმართ და დარეგისტრირდა საქონლის შემდეგი ჩამონათვალისათვის: „საქართველოში წარმოებული წითელი მშრალი ღვინო“.

აპელანტი კომპანია „ოოო „როსტ-ბრენდ“ (ООО „РОСТ-Бренд“) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, პურ-მარილი მოსახლეობაში დამკვიდრებული სიტყვაა და ის, შესაძლოა, მართლაც ასოცირდებოდეს სუფრასთან, თუმცა ექსპერტიზის მიერ მისი შემდგომი ასოცირება ღვინოსთან გაუგებარია, ვინაიდან ასეთმა ორსაფეხურიანმა ასოცირებამ შეიძლება გამოიწვიოს ასოცირება სუფრასთან, ხაჭაპურთან, ფხალეულთან, საცივთან და ა.შ., რაც იმის დასტურია, რომ თავად ასოციაცია, რაც შეიძლება სიტყვამ „სუფრა“ გამოიწვიოს, ინდივიდუალურია და არ უკავშირდება რაიმე კონკრეტულ საქონელს, მათ შორის, ღვინოს. შესაბამისად,

მომხმარებელი ვერ დაუკავშირებს სუფრას ერთმნიშვნელოვნად ღვინოს და მით უმეტეს, ვერ დაუკავშირებს პურ-მარილს ღვინოს.

აპელანტის განმარტებით, გაუგებარია ექსპერტიზის გადაწყვეტილება, როდესაც იგი სიტყვიერი ელემენტის „ПУРМАРИЛИ“ არაგანმასხვავებელუნარიანობას უკავშირებს ტერმინს „სუფრა“, მაშინ როცა 33-ე კლასის საქონლის ჩამონათვალისათვის საქპატენტში სასაქონლო ნიშნად რეგისტრირებულია შემდეგი ნიშნები: „ქართული სუფრა KARTULI SUPRA КАРТУЛИ СУПРА“ (რეგ. N 26069) და „ქართული ნადიმი GEORGIAN FEAST ГРУЗИНСКОЕ ЗАСТОЛЬЕ“ (რეგ. N 15918).

აპელანტის პოზიციით, ექსპერტიზის გადაწყვეტილება მოკლებულია ყველანაირ საფუძველს მიიჩნიოს აღნიშვნა „ПУРМАРИЛИ“ არაგანმასხვავებელუნარიან სიმბოლოდ ღვინისათვის. ამასთან, აპელანტის განმარტებით, არსებობს საქპატენტის მიერ დადგენილი პრაქტიკა, რომლის მიხედვით, ერთის მხრივ, რეგისტრირებულია სასაქონლო ნიშანი „ქართული სუფრა“, რომელშიც აღნიშვნა „სუფრა“ მიჩნეულია განმასხვავებელუნარიან სიმბოლოდ და მეორეს მხრივ, არაგანმასხვავებელუნარიან დაუცველ სიმბოლოდაა მიჩნეული აღნიშვნა „ПУРМАРИЛИ“, რომელიც, ექსპერტიზის გადაწყვეტილებით, ასოცირდება სუფრასთან, რომელიც თითქოს, თავის მხრივ, ასოცირდება ღვინოსთან და შესაბამისად წარმოადგენს არაგანმასხვავებელუნარიან აღნიშვნას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 28 აპრილის N908/03 ბრძანების ბათილად ცნობას იმ ნაწილში, რომლითაც სასაქონლო ნიშანში „ПУРМАРИЛИ САПЕРАВИ საფერავი“ (საიდ. N86990/03) სიტყვიერ აღნიშვნას „ПУРМАРИЛИ“ არ მიენიჭა დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვა და სასაქონლო ნიშნის „ПУРМАРИЛИ САПЕРАВИ საფერავი“

(საიდ. N86990/03) რეგისტრაცია საქონლის შეზღუდული ჩამონათვალის მიმართ: „საქართველოში წარმოებული წითელი მშრალი ღვინო“ (33-ე კლასი).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. №74-03/16) უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც არაგანმასხვავებელუნარიანია შესაბამისი საქონლის მიმართ“.

განცხადებული სასაქონლო ნიშანი კომბინირებულია და გამოსახულებით ნაწილთან ერთად შეიცავს სიტყვიერ ელემენტს: „ПУРМАРИЛИ САПЕРАВИ საფერავი“. სიტყვიერი ნაწილი შესრულებულია სტანდარტული ქართული ანბანით, ასევე კირილიცაზე.

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ თანახმად, პურ-მარილი განმარტებულია, როგორც „სტუმრისთვის მირთმეული საჭმელ-სასმელი; სტუმართმოყვარეობა; სტუმრის გულუხვად დახვედრა“. სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ პურ-მარილი არ ასოცირდება სუფრასთან და შესაბამისად ვერ მოხდება მისი შემდგომი ასოცირება ღვინოსთან. განცხადებულ სასაქონლო ნიშანში სიტყვიერი ნაწილი „ПУРМАРИЛИ“ არის განმასხვავებელუნარიანი ელემენტი 33-ე კლასის საქონლის შეზღუდული ჩამონათვალის მიმართ. შესაბამისად, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს შესწევს უნარი განასხვავოს ერთი საწარმოს საქონელი ან/და მომსახურება სხვა საწარმოს საქონლის ან/და მომსახურებისაგან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, სასაქონლო ნიშანში „ПУРМАРИЛИ САПЕРАВИ საფერავი“ (საიდ. N86990/03) სიტყვიერი აღნიშვნის „ПУРМАРИЛИ“ დაუცველი ნაწილად ჩართვის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ოოო „როსტ-ბრენდ“ (ООО „РОСТ-Бренд“) სააპელაციო საჩივარი (N74-03/16) დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი „სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 28 აპრილის N908/03 ბრძანება იმ ნაწილში, რომლითაც სასაქონლო ნიშანში „ПУРМАРИЛИ САПЕРАВИ საფერავი“ (საიდ. N86990/03) სიტყვიერ აღნიშვნას „ПУРМАРИЛИ“ არ მიენიჭა დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვა
3. სასაქონლო ნიშანი „ПУРМАРИЛИ САПЕРАВИ საფერავი“ (საიდ. N86990) დარეგისტრირდეს საქონლის შემდეგი შეზღუდული ჩამონათვალის მიმართ: „საქართველოში წარმოებული წითელი მშრალი ღვინო“ (33-ე კლასი).
4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:	ნ. გოგილიძე
წევრები:	თ. ჯაფარიძე
	ს. ებრალიძე